

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათავაზობთ “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში” (შემდგომში “სტანდარტული პირობები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. შეიცვალოს სტანდარტული პირობების პირველი მუხლის 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1. ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინთა განმარტებები და წესები ეყრდნობა საერთაშორისო საგადახდო სისტემის VISA International-ის და Mastercard Worldwide-ის წესებს: ამასთან, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ საქონლის (ნივთის) / მომსახურების ღირებულების მიმდინარე / მოთხოვნამდე ანაზრის ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით ანგარიშსწორებისას, უპირატესად გამოიყენება ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურ(ებ)ით/სტანდარტ(ებ)ით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები/მოთხოვნები, რაც არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილი წესებით / მოთხოვნებით / პირობებით / დებულებებით.“

2. შეიცვალოს სტანდარტული პირობების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით განსაზღვრული ტერმინის „ჩარჯბეკი“ განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ჩარჯბეკი** - განსაზღვრული პროცედურა, როდესაც ბარათის ემიტენტი ან მფლობელი, VISA International-ის და Mastercard Worldwide-ის წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასაჩივრებს შესრულებულ ტრანზაქციას და უკან ითხოვს ტრანზაქციის მთლიან ან ნაწილობრივ თანხას ექვაიერისაგან (ტრანზაქციის შემსრულებელი ბანკისაგან). იმ შემთხვევ(ებ)ისთვის, როდესაც ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით შესრულებული ტრანზაქცი(ებ)ის გასაჩივრება, ჩარჯბეკის პროცედურა განსხვავდება ბარათით შესრულებული ტრანზაქცი(ებ)ისთვის განსაზღვრული ჩარჯბეკის პროცედურისგან და ხსენებული უპირატესად რეგულირდება/წარმართება საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურ(ებ)ით/სტანდარტ(ებ)ით განსაზღვრული/დადგენილი წესების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილი წესებით/მოთხოვნებით/პირობებით/დებულებებით.“

3. სტანდარტული პირობების პირველი მუხლის 1.1 პუნქტს დაემატოს ტერმინი „ანგარიში“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ანგარიში** - კომპანიის/კლიენტის კუთვნილი საანგარიშსწორებო (მიმდინარე/საბარათე/მოთხოვნამდე ანაზრის) ანგარიში, რომლის მეშვეობითაც ხდება საქონლის (ნივთის) შექმნასთან / მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება.“